**კონფიდენციალური**
XX-XX-XXXX

**ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**
**ზრდადი ანაბრის ხელშეკრულება #XXXXXX**

**ანაბრის საპროცენტო განაკვეთი**
■ ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
■ ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი: XX %
■ ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: XX %

**სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია**
■ ანაბრის (დეპოზიტის) პირველადი შენატანი: XXX
■ ანაბრის ვადა: XXX დღე, XX-XX-XXXX -მდე
■ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში ანაბრის დარღვევის საკომისიო შეადგენს ანაბრის თანხის X%-ს;
■ ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღემდე შეწყვეტის შემთხვევაში: X%; 90-დან 270 დღემდე: X%, 270-ე დღიდან X%[1]. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის თარიღამდე. იმ შემთხვევაში, თუ სარგებელი შეწყვეტის დროისთვის უკვე გაცემულია, შესაბამისი სხვაობის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.
იმ შემთხვევაში, თუ სარგებელი შეწყვეტის დროისთვის უკვე გაცემულია, შესაბამისი სხვაობის დაკავება მოხდება ანაბრის თანხიდან.

■ მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება.
ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, მეანაბრე წერილობით ატყობინებს აღნიშნულის თაობაზე მიკრობანკს (მის ნებისმიერ ფილიალში) და მიკრობანკი არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, უზრუნველყოფს ანაბრის თანხის და მასზე დარიცხული სარგებლის მეანაბრისათვის გადაცემას.

„თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში“.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხოლო ისეთი ცვლილების

---

[1] ანაბრის უცხოურ ვალუტაში განთავსების შემთხვევაში:
ანაბრის ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღემდე შეწყვეტის შემთხვევაში: X%, 90-ე დღიდან: X%

განხორციელებისას, რაც არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას, მომხმარებლის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება მეანაბრის სასარგებლოდ.

■ მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია მიკრობანკის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელ.ფოსტაზე - Complaint@crystal.ge).

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

▪ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს

▪ ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = XX% [2]

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა –www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

**“მიკრობანკი“** **„მეანაბრე”**

წარმომადგენელი: _____ _____

/ ხელმოწერა /

[2] ანაბრის უცხოურ ვალუტაში განთავსების შემთხვევაში

**კონფიდენციალური**
XX-XX-XXXX

**ზრდადი ანაბრის ხელშეკრულება #XXXXXX**

**1. ხელშეკრულების მხარეები**
1.1 **მიკრობანკი** - სს ,,მიკრობანკი კრისტალი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 212896570; იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22; ფაქტობრივი მისამართი: XXXXX

1.2 **მეანაბრე** - XXX XXXX, იურიდიული მისამართი: XXX ფაქტობრივი მისამართი: XXX, პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: XXXXXXXXXXX, დაბადების / რეგისტრაციის თარიღი: XX-XX-XXXX, მობილური ტელეფონის ნომერი: XXX XX XX XX,

ვდებთ ზრდადი ანაბრის ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება'') შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**
2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეანაბრე განათავსებს თანხას მიკრობანკში გახსნილ საანაბრე ანგარიშზე, ხოლო მიკრობანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით უბრუნებს მეანაბრეს. იმავდროულად, მეანაბრე მიკრობანკს ანიჭებს უფლებას ანაბრის თანხა მიკრობანკში გახსნილი ანგარიშიდან (მითითებულია ხელშეკრულების 3.4 პუნქტში) მიმართოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტში მითითებულ საანაბრე ანგარიშზე, მეანაბრის დამატებითი თანხმობის გარეშე.

**3. ძირითადი პირობები**
3.1 ანაბრის მნიშვნელოვან პირობებთან (თავსართი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ დაგანუყოფელ ნაწილს, ერთად ასევე განისაზღვრება შემდეგი პირობები:

| | |
|---|---|
| 3.1 საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა: | XX |
| 3.2 საანაბრე ანგარიშის ნომერი: | XX |
| 3.3 ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება ანაბარი და საპროცენტო სარგებელი: | XX |
| 3.4 ანგარიში, საიდანაც გადაირიცხება ანაბრის თანხა: | XX |
| 3.5 ანაბარზე თანხის დამატების შესაძლებლობა: | შესაძლებელია იმგვარად, რომ ანაბრის თანხამ ჯამში არ გადააჭარბოს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ზღვრულ თანხას. |
| 3.6 ანაბრიდან თანხის ნაწილობრივ გატანის შესაძლებლობა: | დაუშვებელია |
| 3.7. ანაბრის ავტომატურად გაგრძელების (პროლონგაციის) პირობა: | [ანაბრის მოქმედება ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების თავსართში (ანაბრის ვადა) მითითებული ვადით (იგულისხმება თავსართში მითითებული დღეების რაოდენობა) და პროლონგაციის დღეს მიკრობანკში იმავე ტიპის ანაბარზე მოქმედი წლიური საპროცენტო განაკვეთით. ანაბრის პროლონგაცია შესაძლებელია მხოლოდ ანაბრის ძირი თანხით. |

| | |
|---|---|
| | მიკრობანკი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ანაბრის ვადის გაგრძელებას და ცალმხრივად უარი განაცხადოს ანაბრის პროლონგაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მიკრობანკი პროლონგაციამდე აცნობებს მეანაბრეს ტელეფონის ნომერზე შეტყობინების გაგზავნის გზით.][3] |
| [3.8. პროლონგაციის დამატებითი პირობები და წესები:<br>3.8.1. პროლონგაციის თარიღი:<br>3.8.2. პროლონგაციის რაოდენობა:<br>3.8.3. პროლონგაციის შემთხვევაში მოქმედი საპროცენტო განაკვეთი: | <br><br>ანაბრის ვადის ამოწურვის თარიღი<br><br>X<br>პროლონგაციის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება პროლონგაციის დღეს მიკრობანკში იმავე ტიპის ანაბარზე მოქმედი წლიური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. აღნიშნული განაკვეთის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება მიკრობანკის ვებგვერდზე www.crystal.ge. |
| 3.8.4. პროლონგაცია დაუშვებელია შემდეგ შემთხვევებში: | ა) მეანაბრის ანგარიშ(ებ)ზე წარმოდგენილია ინკასო, ყადაღა და/ან მოქმედებს სხვა სახის შეზღუდვა/აკრძალვა; ან ბ) ანაბრის თანხა პროლონგაციის დღეს აღემატება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ზღვრულ თანხას.<br>ასევე პროლონგაცია არ განხორციელდება, თუ მეანაბრე ანაბრის ვადის ამოწურვის დღეს დააფიქსირებს პროლონგაციის შეწყვეტის სურვილს, შესაბამისი წერილობითი განაცხადით მიკრობანკისათვის მიმართვის გზით; |
| 3.8.5. პროლონგირებული ანაბრის ვადამდე შეწყვეტის დროს მისაღები სარგებელი: | სარგებლის დარიცხვა მოხდება ანაბრის ფაქტობრივი განთავსების პერიოდულობის (ვადიანობის) შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც მოქმედი იქნება პროლონგაციის დღისთვის და განთავსებული იქნება მიკრობანკის ვებგვერდზე www.crystal.ge (იმავე ტიპის ანაბრის ვადამდე შეწყვეტისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში).<br>ამასთან, პროლონგირებული ანაბრის 1 (ერთი) თვის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების თავსართით განსაზღვრული ანაბრის დარღვევის საკომისიო არ დაეკისრება მეანაბრეს. |
| 3.8.6. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი პროლონგაციისას: | პროლონგაციისას საპროცენტო სარგებელი ერიცხება ანაბრის ძირითად თანხას, გადახდილი საპროცენტო სარგებლის გაუთვალისწინებლად.<br><br>ხელშეკრულების სხვა პირობები (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა) რჩება უცვლელი.][4] |

[3] იმ შემთხვევაში, თუ ანაბარი პროლონგაციის გარეშეა, მითითებული იქნება შემდეგი ჩანაწერი: პროლონგაციის გარეშე.

[4] ხელშეკრულების 3.8 პუნქტი და მისი ქვეპუნქტები ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ანაბრის ავტომატური გაგრძელების პირობას.

**4. სარგებლის დარიცხვის პირობები**

4.1 ანაბარზე საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება ხდება ყოველდღიურად, საანაბრე ანგარიშზე თითოეული კალენდარული დღის ბოლოს არსებული ფაქტობრივი ნაშთის მიხედვით, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით. ანაბარზე დამატებით შეტანილი თანხა მონაწილეობს საპროცენტო სარგებლის დაანგარიშებაში მისი საანაბრე ანგარიშზე განთავსების მომდევნო დღიდან.

4.2 ანაბარზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება თანხის საანაბრე ანგარიშზე განთავსების დღის მომდევნო დღიდან.

4.3. საპროცენტო სარგებელი ერიცხება მხოლოდ ანაბრის მოცულობის თანხას, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანხის გამოკლებით.

4.4. მეანაბრის მიერ ანაბრის ვადის გასვლამდე ანაბრის დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, სარგებლის დარიცხვა მოხდება შემცირებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

4.5 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად გაცემა, დარიცხული სარგებელი ჩაირიცხება მეანაბრის ანგარიშზე ყოველი თვის იმ რიცხვში, რომელშიც გაიხსნა ანაბარი.

**5. ანაბრის შეწყვეტის პირობები**

5.1 მეანაბრის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში/ანაბრის ვადის გასვლის შემდეგ მიკრობანკი უზრუნველყოფს ანაბრის თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის მეანაბრისათვის გადაცემას/მეანაბრის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანგარიშზე ჩარიცხვას/ასახვას იმავე ვალუტაში.

5.2 ნებისმიერი პირის (როგორც მეანაბრის, ისე ნებისმიერი სხვა პირის) მიმართ არსებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ანაბრის გამოყენების შემთხვევაში, ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიკრობანკის თანხმობით.

5.3 თუ ანაბარი წარმოადგენს მიკრობანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას ან/და მიკრობანკს სხვა სამართლებრივი საფუძვლით წარმოეშობა უფლება, რომ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ანაბრის ხარჯზე, მიკრობანკის მიერ ანაბრიდან თანხის ჩამოჭრა გამოიწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რაც მეანაბრის მიერ ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

**6. მხარეთა დამატებითი უფლება-მოვალეობები**

6.1 მხარეები ადასტურებენ, რომ მათი საქმიანობით არ აყენებენ ნეგატიურ გავლენას ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოს.

6.2 მეანაბრე თანახმაა და იღებს ვალდებულებას, რომ:

6.2.1 მის რეკვიზიტებში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი გამოყენებულ იქნას მიკრობანკის მიერ მასთან დასაკავშირებლად ან/და ტექსტური ინფორმაციის მისაწოდებლად. გაგზავნილი შეტყობინება მეანაბრისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

6.2.2 მეანაბრე მობილური ნომრის ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს მიკრობანკს ახალ ნომერს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიკრობანკი უფლებას იტოვებს აღნიშნული ნომრის სხვა მომხმარებელზე დუბლირებისას, ამ მომხმარებელთან ნომრის ვერიფიცირების შემდეგ, ამოშალოს მეანაბრის მონაცემებიდან დუბლირებული ტელეფონის ნომერი.

6.2.3 დუბლირებისას მეანაბრის მონაცემებიდან ტელეფონის ნომრის ამოშლის შემთხვევაში, მიკრობანკი თავისუფლდება მეანაბრისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისაგან.

6.2.4 უზრუნველყოფს მიკრობანკის დაუყოვნებელ ინფორმირებას მის პირად მონაცემებში (სახელი, გვარი, მისამართი ან/და მიკრობანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია), ასევე მეანაბრე თუ იურიდიული პირია - დამატებით მის დამფუძნებლებთან/ბენეფიციარ მესაკუთრეებთან/დირექტორებთან/პარტნიორებთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში;

6.3 მეანაბრე ვალდებულია ანაბრის მოქმედების პერიოდში მიკრობანკში იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური მიმდინარე ანგარიში.

6.4 მეანაბრე ადასტურებს, რომ მიკრობანკმა გააცნო ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან (ზრდად ანაბართან) დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც ასევე განთავსებულია მიკრობანკის ვებ-გვერდზე www.crystal.ge.
6.5 თუ ანაბართან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები წარმოებს მომსახურე ანგარიშის მეშვეობით, მეანაბრე უფლებამოსილია ანაბრის მომსახურე ანგარიში გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის: ანაბრის ერთჯერადი შენატანის განხორციელება, ანაბრის თანხის/საპროცენტო სარგებლის ნაღდი სახით გამოტანა/გადატანა კრისტალში გახსნილ მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე. მომსახურე ანგარიში დაიხურება ანაბრის ვადის შეწყვეტისთანავე/ვადის გასვლისთანავე, მას შემდეგ, რაც მეანაბრე უზრუნველყოფს აღნიშნულ ანგარიშზე არსებული თანხის გატანას ან/და გადარიცხვას სხვა ანგარიშზე.

**7. პერსონალური მონაცემები და მათი კონფიდენციალურობა**
7.1 მეანაბრისთვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანაბრე მომსახურების მიზნით მიკრობანკმა დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები, რაც მიეთითება, მეანაბრის მხრიდან მიკრობანკისთვის წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მომსახურების ფარგლებში საბანკო ანგარიშზე წარმოებული ტრანზაქციების ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად და მეანაბრის მხრიდან მოთხოვნილი მომსახურების ფარგლებში. მათ შორის, მეანაბრისათვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, რომ მომსახურების სრულყოფილად გაწევის მიზნით მიკრობანკი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, კლიენტის იდენტიფიცირების, ვერიფიკაციის თუ სქრინინგის მიზნებისთვის, ახორციელებს კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას როგორც უშუალოდ, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი მესამე პირების ჩართულობით.
7.2 მიკრობანკი იღებს ვალდებულებას პერსონალური მონაცემების დამუშავება განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვით და უზრუნველყოს კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი.

**8. პრეტენზი(ებ)ის განხილვის პროცედურა**
8.1 მეანაბრე უფლებამოსილია მიმართოს მიკრობანკს პრეტენზიით (ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი განცხადება, რომლითაც მეანაბრე გამოხატავს უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას). პრეტენზიის ზეპირად დაფიქსირების შემთხვევაში მიკრობანკი მეანაბრეს შესთავაზებს პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტულ წერილობით ან ელექტრონულ ფორმას. პრეტენზიის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით წარდგენისას მიკრობანკი ახდენს მისი მიღების დადასტურებას. მეანაბრეს პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს მიკრობანკის ელექტრონულ მისამართზე - Complaint@crystal.ge. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია მიკრობანკის სატელეფონო ცენტრში, ნომერზე +99532 2022020.
8.2 მეანაბრის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) კალენდარული თვე. პრეტენზიას განიხილავს მიკრობანკის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია პრეტენზიების განხილვის ვადების დაცვასა და პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. პრეტენზიის განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება მეანაბრეს პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტური ფორმით.

**9. სხვა პირობები**
9.1 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მეანაბრის განაცხადს საანაბრე ანგარიშის / მომსახურე ანგარიშის გახსნის/სარგებლობის შესახებ.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;
9.3 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
9.4 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
9.5 მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოებში.
9.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მეანაბრეს.

9.7 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შედგენილი იქნება ქართულ და უცხოურ ენაზე, ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას.
9.8 დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

**10. მხარეთა ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| **“მიკრობანკი“** | **,,მეანაბრე(მომხმარებელი)’’/წარმომადგენელი** |
| **წარმომადგენელი:** | |
| **_____** | **_____** |
| | **/ სახელი და გვარი სრულად/** |